

ავტორის შლილი მიტყველების ზოგი საკითხი ძარღულ
დრამატურგისა (XIX ს-ის შუა წლები

I. დიალექტიზმებისათვის

მარტოვრული ნაწარმოების ენის შესწავლისას მკვლევართა წინაშე თითქმის ყოველთვის დგება საკითხი ავტორისა და პერსონაჟის მეტყველების ურთიერთდაპირისპირებისა თუ არა, მათი ურთიერთისაგან გამიჯვნისა. საკითხი შედარებით სუსტად იცვეთება პოეზიაში: საერთოდ არ დაისმის პოეზიის ისეთ სახეობაში, როგორიცაა ლირიკა, მეტად შეიძლება იყოს გამოკვეთილი დრამატულ პოეზიაში. პოეზიასთან მიმართებით თუ შეკედავთ საკითხს, ფართოდ საუბარი ამ ოებაზე ტრადიციულად პროზაულ თხზულებათა ანალიზის საფუძველზე ჩდება — ცხადია, იმის გამო, რომ ამგვარი გამიჯვნისათვის არალექსითს ნაწარმოებში უფრო ხელშესახები საფუძველი არსებობს; მაგრამ თუ ლიტერატურული ნაწარმოებების გვპრებად (ე. წ. უანრობრივი) დაყოფის პრინციპს ავიღებთ ამოსაელად, ეს საკითხი ყველაზე მყაფიოდ დრამატურგიაში გამოიყეობა.

დრამატულ თხზულებაში თავიდანვე, შეიძლება ითქვას, მწერლის ჩინაფიქრშივეა გამიჯნული ავტორისა და პერსონაჟის (პერსონაჟთა) მეტყველება. იმის თავიდათვი მიზეზია დრამატული ნაწარმოების სპეციფიკა; მასში უაქცელად არიან ავტორი და პერსონაჟები, რომლებიც ავტორის ნებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რადგან მათ, როგორც მხატვრული ნაწარმოების გმირებს, გამოკვეთილი ხასიათი (სახე) უნდა ჰქონდეთ. ყოველივე ეს მათს ქცევასა და მეტყველებაში უნდა იყოს გამოხატული, რაც იძლევა საფუძველს გისაუბროთ ამათუ იმ პერსონაჟის მეტყველების სტილზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ ავტორის მეტყველებაც გარკვეული სტილური ფუნქციის მატარებელია და იგი არსებითად განსხვავებულია პერსონაჟის მეტყველების ფუნქციისაგან. სწორედ ეს განსხვავებულობა იძლევა საშუალებას მათი, ე. ი. ავტორისა და პერსონაჟის მეტყველების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად.

ავტორის მეტყველებაზე საუბარი წინაპირობად აპრილიულად გულისხმობს რაავტორის, ე. ი. პერსონაჟის მეტყველების გამოყოფასაც და არამც და არამც ერთმანეთისაგან გათიშვის, რადგან ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება გაიაზრება და განიხილება ძილები, რაგორც ერთი მთლიანი, უწყვეტი პროცესი მწერლის აზროვნებისა და მეტყველების სტილისა:

ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება, ერთად აღებული, თუმცა ერთი მთლიანი შემოქმედებითი აზროვნების პროცესის გამომხატველია, მაგრამ განიხილება ცალ-ცალკეც, როგორც შემადგენელი ნაწილები მთელისა. წინამდებარე სტატიის თემაც ამას გულისხმობს: გამოყოფს და დახასიათდეს ავტორის მეტყველების ძირითადი ნიშნები.

ცნობილია, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოების ავტორი ეპოქას ემსახურება და, რა ოქმაზედაც უნდა წერდეს, თავისი დროის სულისკვეთებას გამოხატავს. ცხადია, თემატიკა — ისტორიული თუ სხვა, ერთგვარად შეაპირობებს გამომსახველობით საშუალებებს. მაგრამ ავტორის ენა, ჩვეულებრივ, მისივე თანამედროვე ეპოქის ენაა. გავისენოთ კ. გამსახურდიას „დიდოსტატის ნაწარვენა“ ან „დავით აღმაშენებელი“, ასევე ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები და სხვ., სადაც ფერორთა ცდა თხზულებების ენის არქიტექტურისა სტილის ფარგლები განიხილება. თუ პროზაულ ნაწარმოებებში და, განსაკუთრებით, ისტორიულ რომანებში, მეტია. შესაძლებლობა, ავტორის მეტყველება ასახავი ეპოქის ენას მიუახლოვდეს (ცხადია, თუ ამგვარი მიზანდასახულობა ავტორისა აჩსებობს), დრომატულ თხზულებებში ასეთი რამ თითქმის გამორიცხულია: იგი მეტ და დიდ სიძნელეებთან უნდა იყოს დაკავშირებული თუნდაც იშიტომ, რომ პროზაულ ნაწარმოებში ავტორის მეტყველება უჭრო თავისუფალია, გაშლილი, — მაშინ, როდესაც დრომატულ ნაწარმოებში ავტორის მეტყველებას ნაკლები იდგილი უკავია, უფრო ლაკონიურია, წინადაღებები მოკლეა, პერსონაჟთა მეტყველებაში ჩართული რემარკები უმეტესად თითო-ოროლა ისტყვისაგან შედგება. ყველაზე უფრო ვრცელი ავტორის მეტყველებაში არის სცენის ოღწერა. რასაკვირველია, XIX ს. ქართულ სინამდვილეში ჩვენ გვყავს დრომატურგება, რომელთა პიესები, სიერთოდ, და ავტორის ტექსტი, კერძოდ, ამ პიესებში იშვიათი მრავალი იტყვაობით გამოიჩინება. — მაგ., ალ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, მაგრამ ამ ავტორის პიესები, თუნდაც „დავით აღმაშენებელი“ ან „ირაკლის დრო“, უფრო საკითხავ პიესათა რიგს განედუნება, ვიდრე სცენაზე განსაკახიერებელს. ყოველ შემთხვევაში, თეატრისათვის ესოდენ გრძელი დიალოგები აშკარად დამლული და მომაბეზრებე-

ლი იქნებოდა. უთუოდ მიიტომ იყო, რომ სცენაზე არც ერთი შითვანა
არ განწორებილებულა.

ფაქტით: ავტორის ტექსტს პიესაში გაცილებით ნაკლები ადგი-
ლი ჟეკეია, ვიდრე პერსონაჟებისას. ეს სპეციფიკა დრამატული ნა-
წირმოებებისა და იგი უნივერსალურია.

მაშესადამე, ავტორის მეტყველების ლაუნიურობა, სიტყვისა, თუ
ფრაზის აზრობრივი ტევადობა არის მიმანიშნებელი ავტორის შეტ-
ყველების ფუნქციისა დრამატულ ნაწარმოებში.

ავტორისა და პერსონაჟების მეტყველები განსხვავებული ფუნქცი-
ების შემნეა და ამიტომ იმიჯნება კიდევ ერთმანეთისაგან. ავტორის
მეტყველების ძირითადი განძისაზღვრელია მისი ენობრივი პაზიცია
(იქნებ ფუნქციაც) — გამოხატოს თვეისი დროის სალიტერატურო
ენის ნორმა. ეს არსებითი ნიშანი გამოკვეთს მას და გვაძლევს საშუა-
ლებას ცალკე განვიხილოთ ავტორის მეტყველება. იგივე ნიშანი არ
არის აუცილებელი და, მაშესადამე, სავალდებულო პერსონაჟების მეტ-
ყველებისაგვის. ეს, ცხადია, არ ნიშანს იმსა, რომ პიესაში რომელი-
მე ბერსონაჟების მეტყველება იმავე ნიშანით არ ხსიათდებოდეს, მაგ-
რამ ასეთ შემთხვევაში იგი სხვა პერსონაჟებს დაუპირისპირდება და
ეს იქნება მისი, ე. ი. სალიტერატურო ენით მოსაუბრი პერსონაჟების
მეტყველების სტილური ფუნქციით დატვირთვის მიმანიშნებელი. ამ-
გარ შემთხვევებში ავტორი ისტუავე შეგნებულ და გამიზნულ მოქ-
მარებას ავლენს, როგორსაც, ვთქვათ, ამა რე იმ პერსონაჟების მეტ-
ყველების დიალექტისმებით დატვირთვისას.

ჭართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (როგორც სალიტერატუ-
რო კრიტიკაში, ისე საენათმეცნიეროში) კარგად არის ცნობილი ან-
ტონ კათალიკოსის წვლილი სალიტერატურო ენის ნორმირების საქ-
მეში, თუმცა ერთიანი სალიტერატურო ენის ძველი, ანტონისეული
ნორმა XIX ს-ის 40—60-იან წლებში ცვლილი დარღვეულია, მაგრამ არც
ახალი ნორმაა ჯერ ჩამოყალიბებული; ზოგი მოვლენა ინერციით ვი-
თარდება, შესაბამისად ჭრელია ორთოვრაფიცია. იმავე ღროს ზრუნვა
სალიტერატურო ენის დახვეწისა და ნორმირებისათვის დაწყებულია.
საყოველოა ცნობილია ამ საქმეში უურნალ „ცისკრის“ (1852—53,
1857—75 წწ.) როლი. ამ პერიოდის ჭართული დრამატურგის ენაზე
დავიორვება გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ავტორთა ენის სა-
ყრდენია სასაუბრო მეტყველება, რომლისთვისაც, თავის მხრივ, უცხო-
არ არის დიალექტისმები. ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს
ავტორთა მეტყველება ერთმანეთისაგან არ განიჩეოდეს სალიტერა-
ტურო ენის თვალსაზრისით, მაგრამ თითქმის არც ერთ შემთხვევაში
იგი არ არის დაზღვეული დიალექტისმებისაგან. რაც შეეხება ძველი
ჭართული ენისათვის დამახასიათებელ მოვლენათა მეტ-ნაკლებ სი-

ჭარბეს, არც ეს არის იმის საბუთი, რომ ავტორი სალიტერატურო (და არა სასაუბრო) ენით მეტყველებს. ე. ი. არქაულისა თუ დიალექტურის სიჭარბე-სიმცირე უწინარეს ყოვლისა, XIX ს. შუა პერიოდის პიესების. ავტორთა ინდივიდუალური მეტყველების მახსინათებელია, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს იმ დროის ქართული სალიტერატურო ენის საერთო მდგომარეობაზედაც.

ავტორის მეტყველებაში დიალექტურის (ასევე — არქაულის) განმსაზღვრელი შეიძლება იღმოჩნდეს ის სოციალური და კულტურულ-ლიტერატურული გარემო, რომელმაც იგი აღინიშარდა, მაშინადამე, ის ენობრივი ტრადიციებიც, რომლებიც ავტორმა აღრეული ასაყიდავებ შეითვისა. მმ ტრადიციების თვეისებისას გარდვეულწილად კვალს ტოვებს გეოგრაფიული გარემო, როგორც ავტორის ან მის წინაპართა საცხოვრებელი ოდგილი. ეს და სხვა ფაქტორები დღესაც ხშირად განსაზღვრავენ დიალექტისმებს მწერლის ენაში. სანიმუშოდ დავასახელებთ ორმოციანი წლებით დათარიღებულ სხვადასხვა ავტორის რამდენიმე პიესას:

თე იმურაზ ბაგრატიონი, „სამსახურობი რაინდისა“¹ — ავტორის მეტყველებაში დიალექტისმები არ გვხვდება.

გიორგი ერისთავი, „დავა“ (1840 წ.)² — ორიოდე ნიმუშია დიალექტისმებისა: დიანბეგი // დიამბეგი (გვ. 180); თვალებ დააპყეტს (გვ. 140), მაგრამ: თავს დაუკრავს (გვ. 151).

„გაყრა“ (1850 წ.) — ღამერილი უნდა იყოს ცოტა უფრო ადრე: დიალექტისმები პერსონაჟის მეტყველებაშია, ავტორის ენაში არ შეიმჩნევა.

თქმობირ წერეთელი, „ქორწილი იმერეთის თავადისა“ (1845 წ.)³. ავტორის მეტყველებაში დადასტურდა რამდენიმე ნიმუში ბგერათდავარგვებისა: ვ თანხმოვანი დაეარგულია ხმოვნებს შორის: მოჟაო კაცი (6r), ნარ-ი კი — სონორი მან-ის მეზობლობაში: ლურს ხით (2 r).

1 პიესის ხელნაწერი დაცულია ქ. ზუგდიდის საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერების ფონდში (23381 № 23), გაგრძელება კი — კ. მაკელიძის სახელმისამართის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A 1762-ე). პირველ ნაწილს გადაწერის თარიღია 1838 წ., მეორეს — 1844 წ., რომელიც შეიძლება დაწერის თარიღიც იყოს.

2 მასალა მოვყევს წიგნიდან: გიორგი ერისთავი, თხშულებანი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966. ტექსტი დაადგინა, ვ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენაშვენები და ლექსიკონი დატურთო ა. ური დიამ. პიესის Q და H ხელნაწერების დიალექტური ვარიაციები პერსონაჟის მეტყველების სახეს (ი. კ.).

3 პიესა გამოუქვეყნებულია, ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი H 232).

მულერი თანხმოვნისათვეს უპირატესობის მინიჭება: ჰდგას (12 v), პირისნიშნისკეული სან-ის ასიმილაციური გამქლერების შედევგია და ბევრ დიალექტშია შენიშვნული.

შეიძლება - დამ თანდებულის შედარებით ხშირი ხმარება. მაგა :
გადმოხდება ცხენიდამ (6 r), უყურებენ ფანჯრიდამ (9 r), რაც სისა-
უბრო ქართულის გავლენითაც შეიძლება აიხსნას.

၃၁ და ၃၂ კონცლექსების ო-ში გადასცვლა: უთქმის (გვ. 21), გვ. 23-
თქმის (გვ. 25) და რამონიზე (<რამთვანიშვილი>, გვ. 37).

შესამჩნევია: -დამ თანდებულის სიუხვე: თვალებიდამ (გვ. 13).

-13 თემატური ნიშნის ნაცვლად -18 თემის ნიშნის გამოყენება:
ახედავთ (გვ. 15); ჰყითხამს (გვ. 16); ტოკამს (გვ. 21) და ა.შ.⁵
-16 სუფიქსის აღიალის ობ-ის ჩმარება: დარჩრმილი (გვ. 28).

ორიოლე შემთხვევა მა- ზენისწინის ხმარებისა მო-ს დღილას
რთულ ჩამო- ზენისწინში: ჩამამხტარი (გვ. 94).

ზემოთ მოყვანილი ნიმუშები დამტკიცირებულია აღმოსავლური კილოგრამისათვის, რასაც ვერ ვიტყვით ჯდანან ფორმაზე: „არწივი თავის ბლარტებით ჯდანან“ (გვ. 94)⁶.

აღნიშნული ოთხი იეტორის ერთ ათწლეულში შექმნილ პიესებზე დაკავშირებაც კი გვაძლევს დასკვნის გაეყოფების უფლებას: დიალექტისძები არ არის დამიახსიათებული მათი (ავტორების) მეტყველებისათვის. მეტიც, ზოგისათვის იგი საერთოდ უცხოა. ყოველი მათგანი დაახლოებით ერთ სოციალურ წრეს განეკუთვნება და იგულისხმება, რომ სათანადო აღზრდა-განითლება იქვე მიღებული. რაც შეეხება გეოგრაფიულ გარემოს, ოქროპირ წერეთლის გარდა, წარმოშობით ყველა აღმოსავლეთ საქართველოდანაა, მაგრამ ი. წერეთელთან იმერული გრემოს გავლენა ავტორის მიტყველებაში განსაკუთრებულად არ იგრძნობა. მისი ენა უფრო სასაუბრო ქართულია, ზოგი მოვლენა კი, (მაგ., დამ თანდებული) იმ დროის სალიტერატურო ენის დამახა-

4 მასალა მოგვიყენ წიგნიდან: „დავთ ოღმაშენებელი ანუ უკანასნერი უძინ
საქართველოსი“, იატორიული ღრამა ოთხ მოქმედებად თ. ოლქებანდრე ჭამბა-
კუ რორბე ლიანისა. გამოცემული ზ. ჭამბაკიძისაგან, თифლის, 1891.

სიათებელი ჩანს და იქედან უნდა ჰქონდეს იგი შეთვისებული ავტორს.

50-იანი წლების ქართული თეატრი გ. ერისთავის დრამატურგიაზე იღიზარდა. ზაა ცემბაძეველები და გამგრძელებლებიც ბევრი ჰყავდა. ქართული პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებამ მოთხოვნილებაც გაზიარდა დრამატურგიულ ნაწარმოებებზე. გ. ერისთავის პროფესიულ (ვგულისხმობთ დრამატურგის) თანამხრახველთა და კოლეგათაგან თავისი ნიჭით გამოირჩეოდა ზურაბ ანტონოვი, მის გვერდით მოღვაწეობდნენ იგრძოვე როგორც დრამატურგები: გ. ელიოზიშვილი (ელიოზოვი), დიმ. მეღვინეოფუხუცესშვილი და სხვები.

განსაკუთრებულია ლვაწელი ივ. კერესელიძისა, რომელმაც გ. ერისთავოთან დაიწყო თავისი დრამატურგიული საქმიანობა, შემდეგ კი — ეურნალ „ცისკრის“ (1857—75 წწ.) ფურცლებზე? — ხელს უწყობდა ეროვნული დრამატურგიის (ისევე როგორც გადმოკეთებულისა და თარგმნილის) მიმუშების ფართო საზოგადოების წინაშე წარმოჩენას. მართალია, „ცისკარმა“ ბოლომდე ეკრ შეძლო აღმავალი გზით სიარული, განსაკუთრებით 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მაგრამ ამის მიზეზი რამდენიმე იყო და მათ შორის — ეროვნული დრამატურგიის სიღარიბეც. ხშირად იბეჭდებოდა სოციალურ სიმათრეს მოქლებული პიესები, ზოგჯერ — სახელდახელოდ შექმნილიც. მაგრამ 50-იანი წლები მაინც ქართული დრამატურგიის აყვავების ხანაა, რადგან ეროვნული თეატრის არსებობასთან არის დაკავშირებული.

50-იანი წლების დრამატურგიიდან აქ რამდენიმე პიესაშე გავამახვილებთ ყურადღებას. ესენია: გ. ერისთავის პიესები „ძუნწი“, „თალისმის ხანი“ და „უჩინმაჩინის ქუდი“. სამიერ ერთ წელს (1852 წ). ირის გამოქვეყნებული (ხელნაწერი პიესებისა ცნობილი არ არის)⁸. ჩევნთვის საინტერესო საკითხებისათვის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია მოძებული.

„ძუნწი“: უჩვენებს დანძაჩას (გვ. 219), დააქრობს სამთლებს // სანთელი (გვ. 238); სამჯერ შეუბერამს პარკებს, ჭოხს დაპერავს... დასუჭამს თვალებს (გვ. 240).

7 იმის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ივ. გიგინე შვილის წერილი: „ეურნალ „ცისკრის“ ენა. I. ივანე კერესელიძის „ცისკარი“ ქართული სალიტერატურო ენის საკონების შესახებ“ (ხელნაწერი, 17 გვ.).

8 მასალის ილუსტრირებისას კვერცხნიათ ო. უ რი და ას დადგნილ ტექსტი: „ძუნწი“ (გვ. 215—242). „თალისმის ხანი“ (გვ. 265—294), „უჩინმაჩინის ქუდი“ (გვ. 243—264). იხ. გ. ერისთავი, თბილულებანი, თბ., 1966. ღიალუქტური მისალის სიმცირის გამო ო. ურიდიას არცა აქვს ეს საკითხი გამოყოფილი (იხ გვ. 429—440).

„თოლისმის ხანი“: სძინაშს (გვ. 274).

„უჩინგანინის ქუდი“: მთარბეინებს ქატოს (გვ. 250); შემოჟკრაშს სილის (გვ. 259); დაისურაშს ქუდა (გვ. 259, 261), თუმცა იქვე არის: წიხლსა ჰკრავს (გვ. 259), გრაფლის ჭოხი უჭირავს (გვ. 262) და ა. შ.

დასახელებული ნიმუშები დამახასიათებელია ქართლურ-კახური დიალექტებისათვის. მათ პარალელური სალიტერატურო ფორმებიც ხშირია ავტორის მეტყველებაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ვითარება ავტორის თანამდეროვე სასაუბრო ენისათვის იყო ნიშანდობლივი.

იდროიდელი სასაუბრო ქართულის ნიმუშიდ წარმოგვიდგება, კერძოდ, ავტორის მეტყველება ზ. ანტონ ოვარის პიესებში⁹. ავტორის მეტყველებაში ნაკლებად გვხვდება ფონეტიზაციები და ალექსანდრე გვაქვს ერთი შემთხვევა მან-ის ნარ-ით შენაცვლებისა: გადაუგდებს შანკურსა (გვ. 129).

-დამ თანდებული ავტორის მეტყველებისათვის უცხო არ არის: იქიდამ (გვ. 27). კარიდამ (გვ. 38), მაგრამ მოქმედებით ბრუნვაში უფრო მოხსირებულია -იდან და -იდგან დაბოლოებები ერთი პიესის (ხოგერ ტექსტის ერთ გვერდზედაც კი) ფარგლებში: კარიდან (გვ. 45; 163) // კარიდგან (გვ. 49; 145), ხელიდან (გვ. 113) და იქვე: მარცხნივ მხარიდგან (გვ. 103).

პიესაში „ქმარი ხუთი ცოლისა“ ერთ საინტერესო ნიმუშს წავიტყდით ავტორისეულ რემარკაში: [მაგი აბდული] „შემოვა მარჯვნივ ზღვის პირიდგამ“ (გვ. 124). ეს მაგალითი კერძოობით შემთხვევად შეიძლებოდა დარჩენილიყო, რომ იგივე -იდგამ-დაბოლოებიანი ფორმა არ გვქონდეს ბარბარე ჭორჭაძის პიესაში „შურა“. ავტორის რემარკაში გვაქვს: „... სმენას მიაპყრობენ იქით მხარეს, ხაიდგამაც ისმის ხმაურობა“¹⁰.

9 მასალა დამოწმებალია შიგნილან: ზ. ანტონ ვარ, პიესები, თბ., 1876. განალიზებულია: „მე მინდა კნენა გვახდე“, 1851 წ., „ქმარი ხუთი ცოლისა“, 1851 წ., „განა ბიძამ ცოლი შეირთო“, 1852 წ. პიესებში: „მშის დაბნელება საჟართველოში“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და „ქორწილი ხევსურთა“ დალექტოზები ავტორის მეტავალებაში თოვქმის არ დასტურდება.

10 „ცისკარი“, 1863, № 8, გვ. 77. ავტოგრაფისა და უსრნალის ჩვენება რატომ-დაც „გასწორებულია“ ხაიდამც (გვ. 177) წიგნში: ბარბარე ჭორჭაძი, ლექსები, პიესები, მთობრობები, წერილები, თბ., „მერანი“, 1986.

იჯამ დაბოლოებასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელ ხანს საყურადღებო მოსაზრება გმოთქვა ბ. გიგინე იშვილ ბა სტატიაში „ძველი ქართული ენის გრამატიკიდან. I. ზმინიშვინ-თანდებულები ძველ ქართულში“: მრავალთავი (ფილოლო-ზოურ-ისტორიული მიებაնი), XVI, 1987, გვ. 83. ა. ჩ. ჩიქობა გას გან გამსხვავებით („ისტორიულ-მედარებით ნარკვევები ქართველური ენებიდან, V, ერთი უ-

განსაკუთრებით ხშირია ზმნურ ფუქებში - ავ თემიტური ნიშნის პარალელური და ამ სუფიქსის ხმარება: ხელს ჰქონას (გვ. 27; 128) და ჰქონას (გვ. 128), თავს დაუკრას (გვ. 48) და იქვე: დაუკრას. ყველა შემთხვევის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ნიმუშები ტიპურია.

არის ასეთი მაგალითიც განუსაზღვრული ნაცეალსახელის - ებინი მრავლობითისა: „უძევს სასწორი, ტომარა და რაღაებიცა“ (გვ. 209).

ამავე პერიოდშია შექმნილი გ. ე ლ ი ო ზ ი შ ვ ი ლ ი ს კომედია „ჩემი ქმარი სხვას ირთავს“. იგი გ. ერისთავის თეატრის რეპერტუარში შედიოდა, მაგრამ გამოქვეყნდა მოვკინებით¹¹. აი, დიალექტის მთავრის წყება, რაც მმ ივტორის მეტყველებაში იჩენს თავს:

-დამ თანდებულის სიუხვე: თთახიდაშ (გვ. 276, 281, 289), უბი-დამ (გვ. 277), ყუთიდამ (გვ. 303), კარიდამ (გვ. 305).

ნონი თანდებული ქართლში ცნიდეს მოაჩე, I, თბ., 1937, გვ. 62), მას მიაჩინა, რომ იგი მიღებულია მოქმედებით ბრუნვაზე დართული -გამო თანდებულისაგან იმავე საფეხურების გავლი, რომლებიც ა. შანიძის შეირ იყო წარმოდგენილთა „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 74). ე. ი. თო + გამო > * იდგამ > * იდგამ > იდამ. ბ. გვიგინიშვილს მასალის უქორლობის გამო კარსკვლივით აქვს აღდგენილი -იდგამ დაბოლოება, როგორც გარდამავალი საფეხური -იდამ დაბოლოებისათვის.

შეიძლებოდა ჩეენ მიერ მოძიებულ ორ ნიმუშს გაემაგრებინა ავტორის პოზიცია, რომ მას შემდეგი დაბრულებები არ ეობდებოდეს: ყრ ერთი, მასალა ძევლი ქართულიდან არ არის, XIX საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. დაგრავათ, რომ დიალექტში (ჩეენს შემთხვევაში ქართულურში) შემოგვენია უურრ ძევლი საფეხური -იდგამ (> -იდამ), ამას ვრ გამოვრიცხავთ. მაგრამ, შეორეც გასაფავალისწინებული, რომ დიალექტებშივე ფართოდ არის გავრცელებული ნარ-ის მან-ით შენაცვლების შემთხვევები, დადასტურებულია იგი ყველა პოზიციაში, ასესალისტი - შიც-იც ჭავ თარა ძე ლინშინები: „შ-ს გამოყენება იმამ (= იმან) ნაცეალსახელში თანამედროვე ღალატებიდან მცემად ინიცილორს (იმამ: ცხენმამ: ძევლი საქართველო, II, გვ. 227) და ფერეიდნულსაც (იმამაც: ტუმ, VII, გვ. 228; 231) ახასიათებს“ („ქართული ენის ისტორიისათვის“, XII—XVIII სს. I, თბ., 1964, გვ. 212). ავტორის მოცეას სხეული ნიმუშებიც უურრ სარწმუნოდ მიაჩინა, რომ იმამ > იმან პროგრესული ასიმილაციის შედეგია. ჩეენი აზრით, ასეთ შემთხვევაში იქვე მოყვარულ სხვა ნიმუშებსაც იგრევ კალიფირაცია უნდა მიეცეს, მაგრამ რახაც, რომელიც ქიზიურშია დადასტურებული (ვ. თო ფ უ რ ი ა: ივ. გ ა გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ივ. ქ ა თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 608) ბევრათმონაცელობისზე მიტყვალებს. იმამ ჩეეულებრივად ღლეს თუშურშიც (ცნობა მოვაწოდა თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე მ): ე. ი. ასეთი მონაცელობა ღლოსაცლებრ კილოთათვის არის დამახასიათებელი. ამიტომ: -იდგამ ფორმისთვისაც ვერ გამოვრიცხავთ ასეთ შესაძლებლობის XIX ს. ნაწერებში. ვლიქრობთ, საკითხო შემდგომ კვლევას მოითხოვთ.

11 ეურნალი „ცისქარი“, 1869, № 4, გვ. 4—19; № 5, გვ. 16—46. მასალის აქაცია და შემდვობიც ვუთოთებთ წავნიდან: ეურნალ „ცისქარის“ დრამატურგია (1852—75 წწ.), თბ., 1987.

-ავ თემატური ნიშნის აღგილას -ამ: ჰერთხამს (გვ. 277), წაიკითხამს (გვ. 280, 284), გადახედამს (გვ. 282), ხერინამს (გვ. 287), თავსუკრამს (გვ. 298), დაინახამს (გვ. 301, 302).

-ავ // ამ: ხელს გამოპრავს (გვ. 306) და ჰერამს ხელსა (გვ. 311); ჩაიხედავს (გვ. 285) და იქვე: დაპხრურამს.

-ებ თემატური ნიშნის ნაცვლად -ობ: „დალევას ვერ მოახსრობს (გვ. 309). Օ პირის ნიშნის (ხ-ხ) გამეღერების ერთი შემთხვევა: გაზძახებს (გვ. 308).

ტრადიციულია ნარ-ის ჩანაცვლება მან-ით სიტყვაში „სანთელი“: „სამოსებს ხტოლზედ დასდგამს“ (გვ. 300).

ჩვენ მიერ მოძიებული ნიმუშები მიუთითებს, რომ ავტორის მეტყველებაში არაფრია ისეთი, რაც შესაძლებელია არსებითად განასხვავებდეს მას ზ. ანტონოვისა და თუნდაც გ. ერისოვისაგან. დიალექტიზმთა ერთგვაროვნობა უფრო შეინიშნება, მხოლოდ გაეხაზვთ — დიალექტიზმები გ. ელიოზიშვილის მეტყველებაში შემთხვევით ხასიათს არ ატარებს.

50-იანი წლების მეორე ნახევარში კურნალ „ცისქარში“ გამოქვეყნდა ი.ვ. კერესელიძის გადმოკეთებული პიესები¹²: „შვილი უმანქოებისა“ და „ცოლები დავკარგეთ“, რომელთა ენობრივმა ანალიზმა შემდეგი დიალექტიზმები გამოგვაყოფინა ავტორის მეტყველებაში.

ფონეტიკიდან: ნ/მ და მ/ნ მონაცვლეობა საყოველთაოდ ცნობილ ნიმუშებში: სამოსელი (გვ. 32), ანბობს (გვ. 38);

თანხმოვნის აფრიკატიზაცია: ხელცახოც მიიღარებს (გვ. 51)¹³.

ფურძის ბოლოკიდური ხან-ის გამეღერება: პავილიშვილის სწევს (გვ. 57).

ვა კომპლექსის ო-ში გადასცლა ($\text{ვა} > \text{ო}$): გამოართოს ხელი (გვ. 47).

მორფოლოგიიდან: -დამ-თანდებულიანი ფორმები: ოთახიდამ (გვ. 67, 68), ფანჯრიდამ (გვ. 100). აქვე შევნიშნევთ, რომ -იდამ დაბოლოება ამ ავტორთან ხშირად არ გვხვდება, ჭირბობს -იდან, თუმცა ასეთი ვარიაციები წარმოგვიდგება ერთსა და იმავე გვერდზედაც კი: ყვირის ფანჯრიდან // ფანჯრითგან მაღლა // ყვირის ფანჯრიდამ (გვ. 100).. აქვეთ: საიდგანაც (გვ. 100). ამდაგვარი მაგალითები იც. კერესელიძის სხვა პიესებშიც შეინიშნება.

ზნნურ ფორმებში ჩვეულებრივია -ავ თემატურის ნაცვლად ამ: იძერამს (გვ. 51), გადახედამს (გვ. 58), მიიკრამს (გვ. 66), თუმცა სა-

12 „შვილი უმანქოებისა“: „ცისქარი“, 1858, № 1, გვ. 16—52; № 3, გვ. 165—213; № 4, გვ. 246—278. „ცოლები დავკარგეთ“: „ცისქარი“, 1860, № 10, გვ. 171—252. პიესას აშერია გადმოკეთების თარიღი — 1857 წ.

13 ხელცახოცის სხვა ავტორებთანაც გვხვდება.

პირისპირო მონაცელეობის (-ამ-ის ნაცელად -ავ) ერთი შემთხვევაც მოვიძეთ პიესაში „ცოლები დავყარგეთ“: სკამს უდგავს (გვ. 80).

დაფიქსირებულია აგრეთვე -ენ-ის ნაცელად -ომ სუფიქსის ხმარება ზმნურ ფუძეში: დარჩომილა (გვ. 41) და -ნ დაბოლოება სტატიკური ზმნის მესამე პირის მს. რიცხვის ფორმაში: „ჰყოცნის რაც შეუძლიან“ (გვ. 99), იგივე ნარ-ი მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ: „დახტიან რაც შეუძლიანთ სცენაზედ“ (გვ. 100).

როგორც ვხედავთ, მოყვნილი მაგალითებიდან ბევრი საერთოა სხვა აეტორებთან, ზოგი კი მხოლოდ ივ. კერესელიძის პიესებში გამოჩნდა. ამდენად, აეტორის მეტყველება აქ ინდივიდუალური ნიშნითაც წარმოაჩნდება.

60-იან წლებში უურნალ „ცისკარში“ რამდენიმე საინტერესო პირა დაიბეჭდა. 1861 წლს გამოქვეყნდა აქ აკ წერეთ ლის „ძველი მხანაგები“¹⁴ (დაწერილი 1859 წ.) — ერთომებულებიანი კომედია, რომელშიც აეტორის მეტყველებას სისადავე და ლაკონიურობა ახასიათებს. 60-იანი წლების მიწურულს ამავე უურნალში დაიბეჭდა „არსენა“ (დაუმთავრებელი პიესა) და კომედია „ძველსა და ახალს შეა“¹⁵. ამ პიესებში დასავლური კილობისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიმუში დადასტურდა აეტორის მეტყველებაში:

პირისნიშნისეული ხან-ის დაკარგვა გარდაუვალი ზმნის მესამე ობიექტური პირის ფორმაში: „ნიკო ზიჩერებია ელენეს გამოშტერებული“ („ცისკ.“; 1861, № 7, გვ. 233). იგივე ფორმა ღანარჩენორ პიესაშიც გვაქვს („ცისკ.“, 1868, № 3, გვ. 4, 8, 9, 42; № 8, გვ. 12, 40). აქვე შევნიშნავთ, რომ გაძახებს და გაშახებს (№ 6, გვ. 53) // გაშახებს (გვ. 55), ისევე როგორც ზიჩერებია და ზიჩერებია (№ 6, გვ. 58), ამ ზმნებში ხან-ის კი არა, პ-ე-ს დაკარგვაზე მიუთითებენ (ხ>პ>О).

მასდარ ფუძეში დაკარგულია თემატური ვ: „ამოუშვებს ხვრინას“ („ცისკ.“, 1868, № 3, გვ. 3).

დისტანციური ასიმილაცია ხდება სიტყვაში შექრთხბა („ცისკ.“, 1868, № 8, გვ. 24).

„არსენაში“ რამდენიმე ზა-ზმნისწინიანი ფორმა შეგვხვდია: „გულს შამოეყრება“, „დაფეთებული შამოეყრება“ (გვ. 39).

ორიოდე შემთხვევა გვაქვს -დამ თანდებულის ხმარებისა: „მეორე თანახდამ მოისმის“ (№ 3, გვ. 38), „ქალი კივილით გამოუძრობა

14 უურნალი „ცისკარი“, 1861, № 7, გვ. 208—241. მასალას აკაკი წერეთ ლის პიესებიდან აქაც და შემდგომაც კიმოწმებთ „ცისკის“ მიხედვით.

15 „არსენა“: „ცისკარი“, 1868, № 3, გვ. 4—40; „ძველსა და ახალს შეა“: „ცისკარი“, 1868, № 3, გვ. 1—45; № 6, გვ. 46—59.

ხელიდამ“ (№ 8, გვ. 36), რაც, ცხადია, იმერიზმი არ არის აკაკის შეტყველებაში.

საერთოდ, ცაკი წერეთლის ენა დახვეწილია, ლიტერატურული, მისი კანონაერია კი — დიალექტიზმებით დატვირთული.

ამასე ვერ ვატყვით კონდრატი კლდიაშვილის შესახებ, რამლის კომედია „იმერეთის ხალხის ცხოვრებითვან“¹⁶ ხახვები იმერიზმებით. დიალექტური ფორმები ავტორის მეტყველებაშიც ძალზე უხვად შეინიშნება. იმერული ლექსიკაც უხვად არის ჭარმოღვენილი, რაც არ არის დამახასიათებელი სხვა ცეტორების მეტყველებისათვის. ზოგი გრძმატიული დიალექტიზმი საზრისოა აკაკის პიერებში შენაშენულთან, მაგ: მიჩერებია (გვ. 362), შეჩერებია (გვ. 373); ამავე რიგისაა: შეჩივის (გვ. 359), ჩაძახის (გვ. 370); ამ ავტორთანაც შეგვარდა შა-ზმინიშინი ფორმა: „ხელს შებლზე შამოიდებს“ (გვ. 360).

არის სხვა სინტერესო ფორმებიც. ერთმანეთის გვერდით გვაქვს: „ჩიბუხს აცხელებს, ამოუსობს მოსაციდებლად“ (გვ. 363) და „ჩიბუხს ცუცხლში „ამოუსვებს“ (გვ. 367); ლოგინს ხელს გადმოუსობს (გვ. 355) და ფეხებზე ხელს უსვევს (გვ. 363).

ავტორის მეტყველებაში ასეთი პარალელური ფორმების ხმარება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ცოცხალი მეტყველებიდან არის შეთვისებული, თვით ავტორი კი მიინცადამაინც არ ზრუნავს თავის მეტყველების დახვეწაზე. ამის დასტურია აგრეთვე ანბობს (გვ. 377, 365) და ანბობენ (გვ. 375) ფორმათ გვერდიგვერდ ხმარებაც.

დისიმილაციური გამუღერების შედეგია ფიქსირებული ავტორის შეტყველების ისეთ ნიმუშებში, როგორიცაა თებში და შეგბი¹⁷. „მოაქ ბატონებთან თებში“ (გვ. 372), „წევნის შეგბი ბარკლებს შემოესხმება“ (გვ. 373). დისტანციური დისიმილაციის ნიმუშია ავტორის მეტყველებაში ნამეტარი (გვ. 373). ერთმანეთის გვერდით ავტორის მეტყველებაში გვაქვს მოახლე // მუახლე (გვ. 372), რაც მიუთითებს: თა>უა და ა. შ. მაგრამ სინტერესოა ისიც, რომ ამათ გვერდით გვაქვს დასავლური კილოებისათვის არადამახასიათებელი მასალაც: „კრამს ფართალს“, „თუთს კრამს“ (გვ. 361), ასევე -დამ-თანდებულიანი ფორმა: „ოქიდაშ მობრუნდება“ (გვ. 377).

16 უზრნალი „ცისქარი“, 1869, № 11—12, გვ. 16—95; 1870, № 1, გვ. 1—26. მასალას ვიმოწებებთ წიგნიდან: უზრნალ „ცისქარის“ დამატურგია, თბ., 1987, გვ. 357—293.

17 „ევფინიტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამღვნი კომისიის ხალექსიკონი ფონდის მასალებში მოიძიეთ მხოლოდ შეცვა, შეუცვა, შეუეპა, შეაპი. საბას განმარტებით: მააპი — ანაზდი და სწრაფი შეცვა.

ამ ავტორის რემარკებში ხშირად გვხვდება დასავლურ კილოთათვის, კერძოდ, იმერულისთვის დამახსინათებელი ჯდის¹⁸ ფორმა: „სკამზედ ჯდის“ (გვ. 362), „იქით ჯდის მუახლე“ (გვ. 372) და ა. შ.

ავტორი ხშირად მიმართავს დასავლურქართულ ლექსიებს, განსაკუთრებით სცენის ოწერის დროს, როდესაც თხრობა გაშლილია. კონდრატი კლდიაშვილის ეს პიესა მაგალითია იმისა, რომ ავტორის მეტყველება სასაუბრო დიალექტურთან ძალიან ახლოს დგას. მისი ენა, იყავის ენისაგან განსხვავებით, არ არის იმ დროის სალიტერატურო ქართული.

ბარბარე ჯორჯაძის პიესები „შური“ და „რატ ვეძებდი და რა ვპოვე“¹⁹ ქართულ სცენაზე წარმატებით სრულდებოდა.

ავტორის მეტყველება ამ პიესაში ხასიათდება აღმოსავლური, ქართლურ-კახური დიალექტიზმებით, რომელთა დიდი ნაწილი იმ ღროის სასაუბრო ქართულის კუთვნილებაა და სხვა ავტორთა ენაშიც წარმოჩნდება. მასალა იმდენად ტიპობრივია, რომ მათზე მითითებით და დაკმაყოფილდებით.

ჩვეულებრივია ნ/ვ ან მ/ნ მონაცემები: ანბობს (გვ. 135); „ამ ანბების მაყურებელი“ (გვ. 177), სამთელი (გვ. 194) // სანთელი (გვ. 203).

რ და ლ თანხმოვნთა მეტათზისი: ძრილ (გვ. 199).

სპირანტის აფრიკატიზაციის (ასიმილაციის გზით) მაგალითია: ხელცახოცი (გვ. 194) // ხელხახოცი (გვ. 197). საინტერესოა, რომ ასეთი პარალელური ფორმები დასტურდება ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ენაშიც. პიესაში „ბატონიშვილი ირავლის პირველი ღრო ანუ თავ-დალება ქართველებისა“²⁰ გვაქვს: ხელცახოცი (გვ. 255) // ხელხახოცი (გვ. გვ. 228, 265); როგორც ეხედავთ, გურული დიალექტიდან ცნობილი ფორმა „ცახოცი“ (თავსაფარი) თავს იჩინს ქართლ-კახეთის წარმომადგენელთა მეტყველებაში, რაც სრულებითაც არ არის მოულოდნელი, რადგან „სპირანტის აფრიკატიდ ქცევის ეს ტენდენცია შესამჩნევია არა მარტო ისტორიულად, ენის განვითარების გარევეულ პერიოდში, არამედ უფრო უარობდ, სხვადასხვა დიალექტში“²¹.

18 ჯდა შეგხვედრია ქართლურში, იმერეთის მოსაზღვრედ, ხაშურია და ტეზერში (ა. კ.).

19 „შური“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1863, № 8, გვ. 1—85. პიესის მიწვრილი აქვს შესრულების თარიღი — 1862 წ.; „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ გამოქვეყნდა იმავე შურნალში, 1865 წ., № 9, გვ. 1—60.

20 პიესა დაწერილია 1862 წ. სოფ. კაზრეთში, გამოქვეყნდა უზრნალ „ცისკარში“, 1864 № 3, გვ. 1—53; № 4, გვ. 55—111.

21 ივ. ქავთარაძე, დასახულებული ნაშრომი, გვ. 244.

სისინა სპირანტი ხ გადაღის შიშინა ჟ ბეგრაში: შინჯვა (გვ. 189).
ვაშინჯავს (გვ. 141).

ვა>ო: ისომს (გვ. 207).

ზმნაში -ენ სუფიქსის ადგილას გვაქვს -ომ: დარჩომილა (გვ. 178).

თემატურ ნიშნებში -ავ -ამ: დაინახამს (გვ. 135, 201), თავს დაუკრავს (გვ. 136, 138, 141, 148...) // თავს დაუკრავს (გვ. 147, 151, 160), მიიხედ-მოიხედამს (გვ. 159) // მიიხედ-მოიხედავს (გვ. 163).

-დამ-თანდებულიანი ფორმები: გორიდამ (გვ. 160), სახლიდამ (გვ. 168), ზემოდამ (გვ. 187) და მათ გვერდით: ოთახიდან (გვ. 145), კუთხიდგან (გვ. 157).

60-იანი წლების მიწურულს „ცისკარში“ დაბეჭდა რაც ი ე ლ
ე რ ი ს თ ა ვ ი ს ორი პიესა: ვოდევილი „გერ დაიხოცნენ, მერე
ოქორწილეს“ და კომედია „მბრუნავი სტოლები“²². ავტორის ენა და-
ტვერილია, რემარკები — მოკლე, ლაკონიური. ავტორის ენა თუმცა
იმ დროის სალიტერატურო ქართულია, ზოგჯერ ვერ არის დაზღვეუ-
ლი დაალექტიზებისაგან. მაგალითად, ვოდევილში ერთმანეთის პა-
რალელურად შეგვხვდა ანბობს (გვ. 24) // ამბობს (გვ. 65); ვინ-ისა
და ნარ-ის მონაცელება აუსლაურში: კიდენ (გვ. 26), ვინ-ისა და
მან-ისა — ანლაუტში: მითომ (გვ. 65).

-ავ და -ამ თემატური ნიშნები სალიტერატურო ენის ნორმის
პოზიციიდან თავ-თავის ადგილზეა. ერთი შემთხვევა მოვიძეეთ მხო-
ლოდ ავ-ის ნაცვლად -ამ სუფიქსის გამოყენებისა: დაინახამს (გვ.
63). „ბრუნავ სტოლებში“ კი ორი მაგალითი შეგვხვდა ამისა: „თავს
უკრავს“ (გვ. 22), იქვეა „ხელს დაიკრავს და წაიკითხამს“ (გვ. 45).

„მბრუნავ სტოლებში“ გვხვდება სხვა ავტორებთანაც გამოვლენი-
ლი ზმნური ფორმა ისომს: „შუბლზე ხელს ისომს“ (გვ. 47).

ავტორის მეტყველებაში დადასტურებული რამდენიმე ფონეტი-
კური მოვლენა დიალექტიზებად არ გვესახება.

60-იან წლებში დაიშერა ა.ლ. ჯამბაკურ-ორბეგ ლი ი ა ნ ი ს
პიესები „ირაკლის დრო“ და „უამნი მეფობენ“²³. „ირაკლის დრო“ ავ-
ტორის მეტყველებაში დიალექტიზების სიუხვით გამოირჩევა. უმ-
რავლესობა სიერთოთ სხვა ავტორებთან. მათ შორისაა: ანბები (გვ.
221), იყითხავს (გვ. 234), დაინახამს (გვ. 269) და მისთ.

აღმოსავლურ კილოთათვის დამახასიათებელი შა- ნაცვლად შე-
სი და წამა- ზმნისშინები: „ლოყაში ხელს მამოკრავს ნელა“ (გვ.

22 ურნალი „ცისკარი“, 1868, № 10, გვ. 4—66; № 1, გვ. 7—84; ვოდევილი
დათარილებულია 1867 წლით.

23 „უამნი მეფობენ“ დაიშერა 1866—68 წწ., გამოუქვეყნებულია, ავტოგრაფი
დაცულია ხელნაშეტრადი ინსტიტუტში, H 473.

251). შდრ. ცოტა ქვემოთ: „შეხელვენ განცვიტებით“ (გვ. 259) და წამაზითქვებს (გვ. 262).

ტიპობრივი ნიმუშები გვაქვს გამოუქვეყნებელი პიესის „უამნი მეფობენ“ ავტორის მეტყველებაშიც. ხელცახლცი (ავტ. II და IV მოქმ.) // ცხვირისახლცი (IV მოქმ. ბერს. მეტყველებაში).

ქართლური დიალექტისათვის ჩვეულებრივი -ებ-იანი მრავლობითი ავტორის მეტყველებაშიც იჩენს თავს ირიბ ბრუნვაში დასმულ პირის ნაცვალსახელთან: „გარდა ამაებისა“ (IV მოქმ.).

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ირაკლის დროუთან“ შედარებით, ამ პიესის მიხედვით, ავტორის მეტყველებაში დიალექტისშებინაფლებია. შეიძლება ეს იმითაც არის უცაირობებული, რომ „უამნი მეფობენ“ — 60-იანი წლების მწურულს არის უქმნილი და ავტორი მეტ სიფრთხილეს იჩენს დიალექტისმთა გამოყენების მხრივ თავისი მეტყველების ფარგლებში და ამით ერთვარ პასუხისმგებლობასაც ავლენს იმ დროის სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის საქმეში.

სურათი არ იქნება სრული, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხებით ურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილ სხვა ავტორთა პიესებსაც.

დამ. მეღვინეოთუხელესიშვილის, კონსტ. ბერძნიშვილის, ივ. ბარათაშვილისა და სხვათა პიესებში ავტორისეული მეტყველება ისეთ დიალექტისშებს წარმოაჩენს, რომლებიც იმდროინდელი სასაუბრო ქართულისათვეს არის დამახსასიათებელი და ომოცენებული ქართლური და კახური დიალექტების საფუძველზე. ცალკეულ ავტორებთან კერძო შემთხვევებიც ვლინდება. მაგ., კონსტ. ბერძნიშვილის მეტყველებაში სასაუბრო ენიდან ათვისებული აღმოსავლური დიალექტური ფორმების გვერდით დადასტურდა ასეთიც: გეგხარდათ (გვ. 340)²⁴, ხოლო „სოფლის სცენაში“²⁵ — „ტაშს უკრამდნენ და ბრავალს უყიროდნენ“ (გვ. 355). ერთი მხრივ, გეგხარდათ (ხმოვნის სრული ასიმილაცია) და ბრავალი / მრავალი (მ და პ-ს მონაცვლეობა) დასავლურ კილოთა დამახსასიათებელი ფორმები, მეორე მხრივ კი, აღმოსავლური -აშ-თემატურნიშნიანი ფორმა -დნენ (და არა: -დენ) დაბოლოებით („უკრამდნენ“) — სალიტერატურო ენაში არსებულ სიჭრელეზე მიუთითებს.

როგორც ვხედავთ, დიალექტური მოვლენები ყველა ავტორის მეტყველებაში თანაბრად არ წარმოჩნდება. ზოგის მეტყველება საერთოდ თავისუფალია დიალექტისმებისაგან (თ. ბაგრატიონი,

24 „პო აი, შეორეც, რა გავიგდ ლოტოშედ“: „ცისკარი“, 1869, № 4, გვ. 50—60. იყენა დაწერილია 1868 წ.

25 „სოფლის სცენა“: „ცისკარი“, 1869, № 5, გვ. 52—79. ნიმუშები მითითებულია წიგნიდან: ურნალ „ცისკარის“ დრამატურგია, თბ., 1987.

გრ. ოჩეულიშვილი...²⁶), ზოგეურ შემთხვევითი ხასიათისაა (გ. ერის-თავი, ა. წერეთელი, რ. ერისთავი...), ზოგს მეტყველებაში კი მო-ჟარბებულია (ლ. ოჩელიანი, ზ. აცტონოვი, ივ. კერესელიძე, ბარბ. ჭორჯაძე...) და სასაუბრო ქართულის ძლიერი გავლენით აიხსნება. არის შემთხვევები, როცა დიალექტიზმების სიუხვით ეცტორისადა პერსონაჟის ენა თითქმის არ განირჩევა. (კონდრ. კლიაშვილი), აიც იმაზე მიუთითებს, რომ ავტორს ან გამოცდილება აკლია, ე. ი. მწერლიაშვილი, კერძოდ, პიესების წერაში გაწაფული არ არის, ანდა ესაა მისთვის ბუნებრივი ქართული: მისთვის სასაუბრო-დიალექტური საკმარისად არ არის გამიჭნული სალიტერატუროსაგან.

ზემოთ, როცა ერთმანეთისაგან გავმიჯნებ ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება, ითვა, რომ ავტორის მეტყველება უხდა ჰეესა-ბამებოდეს მისი დროის სალიტერატურო ქართულს, მაშინ რო-დესაც პერსონაჟის მეტყველება გამოხატულება იქნება (და არის კადეც!) ავტორის მხატვრული ჩინაფიქრისა. აქედან გამომდინა-რეობს დიალექტიზმების ორი წყებაც: ერთი — ავტორის მიერ წი-სასწარ გამსახულებული, ე. ი. ისეთი, რომელსაც თვით ავტორმა დაა-კისრა სტილური ფუნქცია, ხოლო მეორე — რომელსაც ასეთი ფუნ-ქცია არა აქვს დაფისტებული. პირველი მიემართება პერსონაჟის მე-ტყველებას, მეორე — ავტორისას. ავტორის პოზიცია ორსავე შემ-თხვევაში კლინდება, რადგან ავტორის მეტყველება სალიტერატურო-ქართულია — პერსონაჟისათვის კი იგი არ არის სავალდებულო, აქ მეტი ნაირფეროვნება ივარაუდება. იდეალურ შემთხვევაში ავტორის მეტყველება დახვეწილია, გამართული. მისთანავე, სალიტერატუ-რო ენა თავად არ არის სტერილური, ცოცხალი ენა არც შეიძლება ასეთი იყოს. მიტომ ავტორის მეტყველებაში უნებლიერ, სხვადასხვა მიზეზით, თავს იჩენს ესა თუ ის დიალექტიზმი. ავტორის მიერ თა-ვისავე მეტყველებაში დიალექტიზმების შეგნებული შემოტანის ფაქტი ჩვენ არ დავვიდასტურებია, თუმცა, საერთოდ, ასეთი რამ შეუძლებელი არ არის მწერლის შემოქმედებაში (გავიხსენოთ თ. ჩხეიძე).

მაშასადამე, დიალექტიზმებისადმი ავტორის დამოკიდებულება გაანალიზებული მასალის მიხედვით ასე გამოიხატება:

1. პერსონაჟის მეტყველებაში დიალექტიზმებს სტილური და-ტვირთვა აქვთ. ავტორის მეტყველებაში — არა, თუმცა ორსავე შემ-თხვევაში დიალექტიზმები მწერლის ენის განმსაზღვრელია.

26 გრ. ოჩეულიშვილის (გარდანქეშელი) ხუმრობა-ერთევალი დაბბჭდა „ცისკარში“, 1859, № 9, გვ. 49—59. დიალექტიზმები ავტორის ენაში არ შეგვხვე-დრაა.

2. გამოიკვეთება საერთო, ერთგვაროვანი დაალექტური მოვლენები აფტორთა მეტყველებაში.

3. XIX ს. შუა პერიოდის სამწერლობო ქართული სიცხვა დიალექტიზებით, როდგან იგი უმთავრესად სისაუბრო ენას ეყრდნობა; მაგრამ ენაში აქტიურად მიმღინარეობს შინაგანი პროცესები, მოცილე ფორმები ებრძვიან ერთმანეთს სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებლად (მაგ. თანდებულიანი ფორმები: -ითგან//>-იდგან // >-იდან; -იდამ // <-იდგამ; ოქატური ნიშნები: -ავ//ავ). ვინ ვის? რომელი ენობრივი მოვლენა რომელს? — ასე დგას საკითხი, რომლის გადაწყვეტაში იმანენტურს, ლინგვისტურ ფაქტორს გარდა, მწერლის პიროვნების როლსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

2. თეატრალურ ტერმინთა ისტორიისათვეს

XIX ს. ქართული დრამატურგია საყურადღებო მასალას გვაწვდის ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნების ლექსიკოსათვის. მართალია, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებში ძირითადად ასახულია დრამატურგიასა და თეატრთან დაკავშირებული როგორც ძველი ქართული, ისე თანამედროვე ტერმინოლოგია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება ქართულ ენაშე თეატრალურ ტერმინთა სრული განმარტებითი ლექსიკონი²⁷.

ქართული თეატრალური ტერმინები (ფართო გაგებით) იქმნებოდა ძველ ქართულ სახიობასთან და დრამატურგიის, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი გვარის (შდრ. პოეზია, პროზა), ჩასახვა-განვითარებასთან ერთად. დღიდა ცალკეულ ქართველ მკვლევართა — ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ილ. აბულეძის, დ. ჯანელიძის, ტრ. რუხაძის და სხვათა წვლილი ძველი ქართული თეატრის ისტორიის კვლევის საქმეში, ბევრი თეატრალური ტერმინიც მოიძებული, შესწავლილი და დადგენილია, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია.

27 საქმეს ვერ შევლის ვერც „რუსულ-ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნების ტერმინები“ (1964 წ. შემდგ. გ. ა ხ ლ ე დ ი ა ნ ი, გ. თ თ ფ უ რ ი ა, შ. ძ ა ძ ძ გ უ რ ი, დ. ჯ ა ნ ვ ლ ი ძ ე), ვერც საკმაოდ ვრცელი რუსულ-ქართული „ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“ (1985 წ. შემდგ. ა. ყ ი ფ შ ი ძ ე), რომელშიც სხვა ლექსიკონებთან შედარებით უკეთ ისახა თეატრალური ხელოვნების ტერმინოლოგია, მაგრამ მასაც იქნია სისტემული მართლია, ქართულ ენაშე არსებობს ა. მ ე გ რ ე ლ ი ძ ი ს შედგენილი „მცირე თეატრალური ლექსიკონი“ (1980 წ.), მაგრამ იგი იმდენად „მცირეა“, რომ ვერც მოსწავლე იხალვაზრდობისა და, მთულებელს, ვერც სპეციალისტთა გაზრდილ მოთხოვნილებისა სრულებით ვერ აქმაოფილებს. თვით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც მხოლოდ ხაშილობრივ ასახავს თეატრსა და დრამატურგიასთან დაკავშირებულ ლექსიკას.

ეროვნული თეატრის ჩამოყალიბების ისტორია დღეისათვის კარგად არის ცნობილი და სათანადოდ გაშუქებული მკვლევართა მიერ²⁸. ცნობილი ფაქტია, 1795 წ. აღა-მაპმაძ-ხანის მიერ თბილისის აღების შემდეგ ფაქტიურად არსებობა შეწვეტა ქართულმა თეატრმა და მისი ხელახალი აღორძინება მხოლოდ XIX ს-ში ვახდა შესძლებელი. ეს საქმე გიორგი ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ქართული დრამატურგია, როგორც ლიტერატურის გვარი — განუყოფელი ნაწილი ჩვენი მწერლობისა, არსებობს ვანიაგრძობდა და მათი დიდი წვლილი შეიტანეს XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასწუყისში რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბატონიშვილებმა თუ სხვა მამული შეიღებმა. მნიშვნელოვანი როლი შეისრულა ამ მხრივ მთარგმნელობითმა საქმიანობამაც, რაც, სხვათა შორის, ქართული თეატრალური ლექსიკის შემდგომ დამუშავებასაც გულისხმობდა. საკითხისადმი ისეთმა მიღვომაც დადგებითი როლი შეასრულა როგორც გ. ერისთავისა და მისი მიმდევრების, ისე შემდგომი პერიოდის ქართულ დრამატურგიაში. რუსული თუ რუსულის გზით შემოსული ევროპული თეატრალური ტერმინების გამოყენება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უგულებელყოფილი იყო საკუთრივ ქართული, ეროვნული ტრადიციები. საკმარისი იქნება, ალბათ, დაგასახელოთ თუნდაც „სახიობა“ — უძველესი ქართული ტერმინი, რომელიც დღეს ისე ძრტიურად იქმნება.

XIX საუკუნის შუა წლებშიც იქმნებოდა ახალი თეატრალური ტერმინები, რომელთა ნაწილი ძეველქართული „სახიობო“ ტერმინების რეინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს, ნაწილი კი იქმნება რუსული თეატრალური ტერმინების კალკირების გზით.

იმის კითხვები: ერთი მხრივ, რა ცვლილებები განიცადა ძეველქართულმა სანიანობით-თეატრალურმა ლექსიკამ, რა ვზა გაიარა, სანამ თეატრალურ ტერმინად იქცეოდა და, მეორე მხრივ, რა შემოვიდა სხვა ენებიდან, როგორ ხდებოდა მათი შერჩევა და თეატრალურ ტერმინად დამკვიდრება. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას წარმოვვიჩენ XIX ს. ქართული დრამატურგია.

„საქმე“ და „სახე“.

„საქმე“ (ჲსაქმე-ა) სიტყვას დღეს მრავალი მნიშვნელობა აქვს

28 მათ შორის ღიმ. ჯანელიძის „სახიობა“, ობ., 1958; მისივე, „რუსთაველი და სახიობა“. ობ., 1967; ვისივე: Грузинский театр древнейших времен до второй половины XIX века, Тбилиси, 1959, ტ. რუხაძის „ძეველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, ობ., 1949; ამზე რკინ განეხილა „ნარგევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან“, ობ., 1957; „უერნალ „ცისქრის“ დრამატურგია (1852—1875 წწ.)“, ქლ. ვეწაძის შედგენილი, ობ., 1987 და სხვ.

(შდრ. ქევლ). ქველი ქართული ენის ლექსიკონებში იგი განმარტებულია, როგორც „მოქმედება სიტყვერი და რაოცა“ (საბა); მოქმედება, ზმინბა (დ. ჩუბინაშვილი). „ხაქმე“ იგცვეა, რაც ქმნა, კოობა, ყოფა. იგი „ნაქმარიც“ არის და „საქმარიც“, „ნაქმნევიცა“ და რამე ამბავიც (ილ. აბულაძე). მაგრე მნიშვნელობებით არის ეს სიტყვა და-დასტურებული ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონში (ტ. I, 1968 წ.) და ა. შ.

„საქმე“ სიტყვის ეს უძველესი და ძირითადი მნიშვნელობა — მოქმედება — უდევს საფუძვლად თ. ბაგრატიონის პიესის „სამსახურება რაინდისას“ დაყოფას მოქმედებებაზე²⁹. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გავიძინებილოთ ერთ გარემოებაზე; როგორც ცნობილია, ეს პიესა დაუსრულებელია, მეორე აქტი ბოლომდე არ არის მიყვანილი. თითოეულ აქტს შესაბამისად აწერია: „საქმე პირველი“, „საქმე მეორე“. ავტოგრაფში³⁰ პირველი მოქმედების დასასრულს აწერია: „დასასრული პლისა სახისა“ (37 გ), რაც ტექსტის პირველ გამომცემელს ასე აქვს განმარტებული: „მაშასალამე სახე — აქ მოქმედებას ნიშანას. მის გამო ჩევნ გვვონია, რომ „სამსახურება“ შეიძლება 3 მოქმედებიან პიესაზე მიგვითითებდეს“³¹. „სამსახურების“ გააზრება სამმოქმედებიან პიესად კატეგორიულად უარყო თავის დროზე სოლ. ცაშვილმა³². ამდენად, არც „საქმე“ და „სახე“ შეიძლება იყოს ერთი და იგივე³³.

„სახე“ (უსახე-დ) „საქმეთან“ შედარებით მნიშვნელობათა
მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება (შდრ. ქველ) და მათი ჩა-
მოთვლა აღმართ შორს წაგვიყვავას. აღნიშვნავთ მხოლოდ, რომ „სა-
ქმე“ და „სახე“ სიტყვათა მნიშვნელობები შევამოწმეთ თითქმის ყვე-
ლა გამოცემული ძეგლის მიხედვით, რომელსაც სალექსიკონი მისა-
ლა აქვს დართული. „საქმე“ და „სახე“ სემანტიკურად ერთმანეთს
არსად უაქცილოვდება. მაშინ რა უნდა ნიშნავდეს „დასასრული პირ-

29 „საქმე“ რომ პიტის მიღებულება, ატრია, ამავე დ. ფანელიძე მაუთიშვ
თავის გამოკიცულებაში: „რუსთაველი და ხახიობა“, თბ., 1967, გვ. 57—58.

³¹ „საქართველოს რაიონისა“, ს. ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს წ ი ნ ს ი ტ ყ ვ ა მ ბ ი თ ა დ ა შ ე ნ ი ც ვ ე ბ ი თ , თბ., 1947, გვ. 97.

⁸² ს. ციცვალი, რეცენზია პიესის იორდანიშვილის ულ გამოცემაზე, „გე-თობა“, 1947, № 7, გვ. 163.

33 ନେପାଳ ରୀତିମ, ୧. ଲୋକାଦିନିଶ୍ଚୟଳେଖି ଗାନ୍ଧିରାଜୁପାଦାଙ୍କ ଶୁଣ୍ଡା ମନ୍ଦିରାଦିନାର୍ଥେବଲ୍ଲୟା
ସି ଶ୍ରୀଵିଷ୍ଣୁମା, ଲୁହ ପ୍ରେସିସ ମାନ୍ଦରୀ ଅଧିକାରୀମିଶ୍ର ରାଜବିହାର: ମାନ୍ଦରୀ ମନ୍ଦିରାତ୍ମିକାଙ୍କ ପାଶ୍ଚିମାଂଶୁ

ს უცნავი, ა. ა. ა მ ე ბ ი ს ა კ ა რ ე ბ ი ს გ მ ა ლ ც ე ბ ი ს გ ა ს ე ს . უ მ ი ს უ ა მ ე ც ე ბ ი ს ა დ ა რ ე ს „ ნ ა ც ლ ა დ ა წ ე რ ი ა „ ს ა ხ ე მ ე რ ი ე „ , თ უ , რ ა ს ა ვ ი რ ე ლ ი ა , ი გ ი უ ფ უ რ ა დ ლ ე ბ ი ს შ ე დ ე ვ ი , ი ტ ა რ ი ს , ი ხ . თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ი ნ ი , მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი თ ხ ს უ ლ ე ბ ი დ ი , თ ბ . , 1987 , ვ 3 . 145 .

ველისა სახისა? თუ გავიხსენებთ, რომ სახე შეიძლება ხატიც იყოს, პირისახეც, გამოსახულება, ფორმა და ბუნებაც, ე. ი. შექმნილი ტიპი და ხასიათი, რომ მისი მნიშვნელობებია აგრეთვე ნიმუში, მა-გალითი, ნიშანი, მიზეზი და ოგავიც, — ცხადი გახდება, თუ როგორი მრავალფეროვანი და რთული არჩევანის წინაშე გვაუკენებს პიესის ავტორი. პატრიოტული სულისკვეთების მქონე ამ პიესაში³⁴ ბევრია ნართაულად, გადაკრულად ნათქვამი. იგი ალეგორიული ხსიათისაა, რასაც პიესის დასაწყისშივე აღნიშნავს ავტორი, რომ ესაა „სასახიობე ალიგორებრი“. იგივე არის გახაზული პოემა „ვაშლის“ გან-მარტების ბოლო სტროფში — „სამსახეობის შინა გამოხატულ არს უცხოდ“ მეხამის მიერ „განხეთქილების ვაშლის“ ამბავი. პიესაში ზნეობრივ-დამტრიგებლური აზრები იგავის ფორმით არის გადმოცე-მული, ხოლო იგავი ისეთი სახეა აზრისა, რომელიც „ჭკუს გვას-წავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის“ (ილია, ქვემ, მუხლი 564). ასეთ წვრთნაზეა საუბარი პიესაშიც.

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ „დასასრული პირველისა სახისა“ უნდა გულისხმობდეს იგავურად ნათქვამი ერთი ნიმუშის დამთავრებას. რადგან ავტორი ნართაულად წერს, ვფიქრობთ, სიტ-უვაში „სახე“ მან ერთდღოულად რამდენიმე მნიშვნელობა ჩააქსოვა³⁵. რასაყვირველია, „სახე“ ავტორს შეიძლებოდა „სურათის“, რო-გორც მოქმედების ინუ საქმის შემადგენელი ნაწილის მაგივრადაც ეხმარი, მაგრამ მის რეალური საფუძველი თითქოს არა ჩანს. ინტე-რესს მოქმედებული ირ უნდა იყოს ისიც, რომ სახე „სურათის“ მნი-შვნელობით გამოყენებული არა იქვთ არც დავით ჩოლოვაშვილს თავის „ეტილენის“ გერსიებში, არც გ. ავალიშვილს თავის ორიგინა-ლურ თუ ნათარგმნ პიესებში და არც სხვებს, მათ შორის არც თეო-მურაშ ბაგრატიონის ვოლტერის „ოლოთოკლეს“ („მოთამაშენი“) თარ-გმანში. ცხადია, ამ ტერმინთა არსებობისათვის შემდეგი წინაპირობა უნდა იყოს: თარგმანში იგი დედნიდან შეიძლება მოხვდეს, ხოლო ქართული პიესებისათვის — დრამატურგიული ნაწარმოების შედგე-

34 ს. იო რდანიშვილის აზრით, პიესა დაწერილია 1832 წლის შეთქმუ-ლებამდე; ამიტომ არის მისოვების პიესის ავტორი ანონიმი.

35 XVIII ს. ვეორე ნიხევრისა და XIX ს. დასაწყისის ქართული ორიგინალუ-რი და ნათარგმნი დარღმატულებია არ იცნობს ფაქტს, რომ „საქმე“, „მოქმედების“ მნი-შვნელობით შენაცელებული იყოს, „სახე“-თი. ამ კუთხით შევამოწმეთ ტ. რ. რუსა-ძის მიერ გამოკვეყნებულ ტექსტები წიგნში: „ეველი ქართული თეატრი და დრა-მატურგია“, თბ., 1949, გვ. 297—541, ხოლო იმავე პიესების შედგენილობაზე ტ-კვირებამ დაგვარწმუნა, რომ ამ პერიოდში „სახე“ და „სურათიც“ კი არ მონა-ცლობენ. სახის შეცვლა სურათით დავადასტურეთ ალ ჭამბაკურ-რმენ-გ-ლიანის გამოუშეფერებელ პიესში „დამინიშეობები“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ „სახე“ და „სურათი“ სინონიმებია.

ნილობაში უნდა არსებობდეს. საკითხი გულდასმით შესასწავლია. წინასწარი დაკვირვების შედევი ასეთია:

1. დავით ჩოლოვაშვილის „ეფილენიას“ ქართული ვერსიები³⁶ პიესის შეღვენილობის დასახსიათებლად გვაწვდის შემდეგ ტერმინებს: წარმოდგინება (представление), გამოცხადება (явление), მოქმედება (действие).

ტრ. რუხაძისათვის „გამოცხადება“ და „მოქმედება“ იგივეა, რაც „სცენა“ (გვ. 173, 174 და ა. შ.). ამის საფუძველს მას აძლევს „აცლინელი იფიგენიას“ ფრანგულ ტექსტში ნახმარი „სცენა“ (La scène), რაც რუსულში დეაქტი-დ არის გამოტანილი (გვ. 178). ასევე დ. ჩოლოვაშვილს პიესა დაყოფილი აქვს „მოქმედებებიდ“ ანუ „გამოცხადებებად“ (გვ. 296), მაგრამ შემდგომი მსჯელობა ტრ. რუხაძისა ამ ტერმინების იგივეობის შესახებ არ ჩანს ბოლომდე თანმიმდევრული: იგი ხან ერთმანეთთან აიგივებს „მოქმედებას“, „გამოცხადებას“ და „სცენას“ (შდრ. გვ. 293—299), ხან კი „სცენა“ „მოქმედებაში“ შემავალ ნაწილიდ აქვს გამოყოფილი (გვ. 173—174). ჩვენი აზრით, პიესაში „გამოცხადება“ „სცენის“ შესატყვისია და არა „მოქმედებისა“. ამის საფუძველს იძლევა გამოქვეყნებული ტექსტი (გვ. 299—333). ამავე დროს „გამოცხადება“ „მოქმედებაში“ შემავალი ნაწილია³⁷. „მოქმედება“ შეესაბამება რუსულ დეაქტის, „გამოცხადება“ (явление) კი — „სცენას“ (შდრ. ლათინ. scaéne), როგორც პიესის მოქმედების ცალკეულ ნაწილს — „გამოსვლას“. მაშასადამე, „გამოცხადება“ იგივე „გამოსვლაა“. პიესის დასაწყისში ნახსენები „წარმოდგინება“ კი არის პредставление, ე. ი. „წარმოდგენა“, სპექტაკლი. შეიძლება იგი იმავდროულად მიუთითებდეს სცენაზე წარმოსადგენ დრამატულ ნაწარმოებსაც, ე. ი. პიესას (ფრანგ. pièce), ისევე როგორც „მოქმედება“ დრამის (პიესის) ზოგად სახელად არის გაცემული³⁸. მეორე ვარაუდი ჩვენთვის წევლებ სარწმუნოა.

2. გ. ავალიშვილის ორიგინალური თუ ნითარგმნი პიესები: სუმაროკოვის კომედია „რქის მატარებლის მიერ გამოსახვა კო-

36 ტ. ჩ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 290—293.

37 ამ დებულებას მხარს უჭრს „ეფიგენია იფლიდში“ ფრანგული და რუსული ორგვანიც, შესრულებული ქარინის მიერ (ინ. ცნობა იქვე, გვ. 272), სადაც მოქმედებები სცენებად (გამოცხადებად) არის დაყოფილი (გვ. 173). თუ დ. ჩოლოვაშვილი იცნობდა ფრანგულ ტექსტს (გვ. 190), მას არ გმორჩებოდა მხედველობაან, როგორ იყო იგნორული რასინის პიესა და რა ტერმინები გამოიყენებოდა იგრორის მიერ, ამიტომ დ. ჩოლოვაშვილი „მოქმედება“ და „გამოცხადებას“ ერთია და იმავე შინუენელობით არ უნდა ჩაირობდეს.

38 შდრ. პიესა „ასტრახანში მოქმედება“ ალ. ამილახვრისა და ამასთან დაკავშირებით ტრ. რუხაძის მსჯელობა, გვ. 139.

მედიისა“, „დედა რაყიფი ქალისა“, „საჩხუბარი“ ისეთსავე ტერმინებს გვიჩვენებს, როგორსაც დ. ჩოლოყაშვილი: „მოქმედება“, „გამოცხადება“. ერთ „მოქმედებაში“ შეიძლება იყოს რამდენიმე „გამოცხადება“³⁹. მხოლოდ ორიგინალური პიესა „უბნობა მკუდართა“ არ შეიცავს ამ ტერმინებს, რადგან იგი არ არის ტრადიციული პრინციპით აგებული დრამატურგიული თხზულება. ამიტომაც ბოლოში „დასასრული“ კი არ აწერია, არამედ: „აქა დასრულდა მკვდართა უბნობა“. თხზულებას არც მოქმედი პირების ჩამოთვლა ახლავს.

3. საყურადღებოა მირიან ბატონიშვილის ნათარგმნი პიესის „ატეისტისა“-ს⁴⁰ მონაცემები. ყოველი მოქმედება რამდენიმე გამოსვლისაგან შედგება ამ უკანასკნელისათვის იგი ხმარობს ტერმინს „განცხადება“. ე. ი. „განცხადება“ სინონიმია „გამოცხადებისა“. ასეთი არჩევანი იქნებ იმითაც იყოს შეპირობებული, რომ „გამოცხადება“ (явление) ძველი საეკლესიო ტერმინია, ენაში დამკვიდრებული: „განცხადება“ (იბ’явление, იბ’явиться) კი თავიდან იგვაცილებდა ასეთ დამთხვევას; არ არის გამორიცხული მირიან ბატონიშვილის ცდა, განსხვავდება დამყაროს საეკლესიო. და თეატრალურ ტერმინს შორის, რაც არცთუ უმნიშვნელო ფაქტია.

4. თ. ბაგრატიონის ნათარგმნ პიესაში „მოთამაშენი“ გვაქვს ტერმინები „მოქმედება“, „წარმოდგენა“, რომელიც რუსულ представление-ს შეესატყვისება, მაგრამ თეიმურაზისეულ თარგმანში „წარმოდგენა“ „მოქმედებაში“ შემავალი ნაწილია და უტოლდება „გამოსვლას“, „გამოცხადებას“, ე. ი. „სცენას“. იმდენად აქ „წარმოდგენა“ განსხვავდება თავისი მნიშვნელობით დ. ჩოლოყაშვილის „წარმოდგინებისაგან“. ამ უკანასკნელის სემინტიკა უფრო ფართოა⁴¹.

დრამატული ნაწარმოების შედგენილობის აუცილებელი კომპონენტებია აგრეთვე „დასასრული“ პიესისა ან მისი უფრო მცირე ნაწილისა, მაგ., მოქმედებისა და — პიესის დასატყისშივე — მოქმედნი პირნი ასეთი ვარიაციებით: მოქმედნი პირნი (დ. ჩოლოყაშვილი), მოქმედი პირნი (მირ. ბაგრატიონი), სახისმოქმედება (გ. ავალიშვილი,

39 მაგ., ერთმოქმედებან პიესაში „საჩხუბარი“ 31 „გამოცხადებაა“ (იხ. ვვ. 325—471).

40 ბრევილის ტრაგედია ნათარგმნია რუსულიდან, 1805 წ.

41 მნიშვნელობათა ასეთი განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ „წარმოდგენა“ (მისდარი) შეესატყვისება რუსულ представить (неопределённая форма глагола), „წარმოდგინება“ კი—представлять ფორმას, საიდანაც არის მნიშვნელი წარმოდგინების წარმოდგინებით, „მოთამაშენი“ არის კოლტრის ტრაგედია „ალათოვე“, დაწერილია 1810—1819 წ., გადაწერილი ჩანს 1819 წ. (გვ. 267—268).

გარდა „უბნობა მკუდართა“-სი), მოთამაშენი (თ. ბაგრატიონი), რომელიც სათაურადაც არის გამოტანილი.

XIX ს. 50-იან წლებში გ. ერისთავის მიერ ქართული თეატრის დაარსებას მოჰყვა დრამატურგიის აყვავებაც, რასაც ბუნებრივად თან სღევდა ახალი თეატრალური ლექსიების შემოსვლაც. ტრადიციული ტერმინთლოვნის გვერდით ახალიც იყიდებს ფეხს, ცხილია, იმავდროულად ცნებათა (სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობათა) გადაფასებაც ხდება.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, XIX ს. 50—60-იანი წლების თვალრა-
ლურ ლექსიკას (ისევე როგორც ქართულ დრამატურგიას) საქმიანდ
ნოყიერი ნიადაგი დახვდა. წინაპირობა თეატრალური ტერმინოლოგიის
დასამცემიღრებლად უკვე არსებობდა, რასაც ხელი შეუწყო ჯერ ვ. ერ-
სთავის „ცისკარმა“ (1852—1853 წწ.), შემდგომ კი, განსაკუთრებით,
ივ. კერძელიძის „ცისკარმა“ (1857—1875 წწ.). თქმა იმისა, რომ
ვ. ერძისთავს ამ ოვალსაზრისით ყველაფერი მზამზარეული დახვდა, არ
იქნებოდა სწორი. ძიებისა და შერჩევის პროცესი ამ პერიოდშიც მიმ-
დინარეობდა. მაგ., ვ. ერძისთავის „დავაში“ ერთმანეთის გვერდით იხმა-
რება „გამოსვლა“ და ქვლევითი აქცეს ერთგვარი საფუძველი: „გამოსვლა“ გაშენ
იხმარება, როდესაც ტექსტი ამ ნაწილში ქართულ ენაზე წარმოიქმის,
ხოლო თუ რუსულიდ, — შესაბამისად იწერია ქვლევითი ამით ერ-
თხელ კიდევ დასტურდება ზემოთ ნათქვამი: „გამოსვლა“ რუსული
ქვლევითი შესაბამისი ტექსტი ჩანს, 40-იან წლებშია
ფეხმოკიდებულია⁴². მაგრამ ვ. ერძისთავის „გაყრის“ პირველწყაროში⁴³
„გამოსვლის“ პარალელურად გვხვდება „გამოცხადება“ (გვ. 225, 226,
228, 229, 230). კომედიაში „უჩინმაჩინის ქუდი“ (1852 წ.) მხოლოდ
VI გამოსვლას აწერია „გამოცხადება“ (გვ. 252). მოძიებული მაგალი-
თები იმაზე მიუთითებენ, რომ „გამოცხადებას“ უკვე ცვლის „გამო-
სვლა“, თუმცა ამ ოვატრალურ ტერმინთა პარალელური ხმარება
უფრო მოგვიანებითაც, 60-იანი წლების მიწურულს იჩენს თაქს
ქონდრ. ქლდიაშვილის პიესაში „კომედია იმერეთის ხალხის ცხოვრე-
სთავის „ცისკარმა“ (1852—1853 წწ.), შემდგომ კი, განსაკუთრებით,
ივ. კერძელიძის „ცისკარმა“ (1857—1875 წწ.). თქმა იმისა, რომ
ვ. ერძისთავს ამ ოვალსაზრისით ყველაფერი მზამზარეული დახვდა, არ
იქნებოდა სწორი. ძიებისა და შერჩევის პროცესი ამ პერიოდშიც მიმ-
დინარეობდა. მაგ., ვ. ერძისთავის „დავაში“ ერთმანეთის გვერდით იხმა-
რება „გამოსვლა“ და ქვლევითი აქცეს ერთგვარი საფუძველი: „გამოსვლა“ გაშენ
იხმარება, როდესაც ტექსტი ამ ნაწილში ქართულ ენაზე წარმოიქმის,
ხოლო თუ რუსულიდ, — შესაბამისად იწერია ქვლევითი ამით ერ-
თხელ კიდევ დასტურდება ზემოთ ნათქვამი: „გამოსვლა“ რუსული
ქვლევითი შესაბამისი ტექსტი ჩანს, 40-იან წლებშია
ფეხმოკიდებულია⁴². მაგრამ ვ. ერძისთავის „გაყრის“ პირველწყაროში⁴³
„გამოსვლის“ პარალელურად გვხვდება „გამოცხადება“ (გვ. 225, 226,
228, 229, 230). კომედიაში „უჩინმაჩინის ქუდი“ (1852 წ.) მხოლოდ
VI გამოსვლას აწერია „გამოცხადება“ (გვ. 252). მოძიებული მაგალი-
თები იმაზე მიუთითებენ, რომ „გამოცხადებას“ უკვე ცვლის „გამო-
სვლა“, თუმცა ამ ოვატრალურ ტერმინთა პარალელური ხმარება
უფრო მოგვიანებითაც, 60-იანი წლების მიწურულს იჩენს თაქს
ქონდრ. ქლდიაშვილის პიესაში „კომედია იმერეთის ხალხის ცხოვრე-
სთავის „ცისკარმა“ (1852—1853 წწ.), შემდგომ კი, განსაკუთრებით,
ივ. კერძელიძის „ცისკარმა“ (1857—1875 წწ.). თქმა იმისა, რომ

42 პარე პერიოდში „გამოცხადება“ „განცხადების“ შესვენელობით სხვა შექმნებული იქმარებოდა, რაც საყურადღებო ამ სიტყვების ლექსიტურ მნიშვნელობათ გადაფასებისა და სალიტერატურო ენაში მათი დამკვირდების თვალსაზრისით; „ქართლის ინტელეგტუის წრილინ გამოსული 27 პირი ხელს აწერს „გამოცხადებას“ (ზენა „გამოაცხადებს“ — ი. კ.) და აცნობს საზოგადოებას გამოსაცემი უზრნალის; „სინათლის“ პროგრამასა და ხელის მოწერის პირობებს“. მ. გ. რ. ძ. ნ. ვ. ვ. ი. ა. ცნობას ვიმოწმებთ ოთ. ურიდიას შენიშვნის მიხედვით ზემოდასახელებული წიგნიან (გვ. 6).

⁴³ օվայ, 83, 481 (ԸստԾահենլուս Մանուշիր).

ბითგან". პიესის პირველ მოქმედებას აქვს „გამოსვლა I", მეორე და მე-
ოთხე მოქმედებში კი „გამოცხადება" გვაქვს. „გამოცხადებას" ხმა-
რობს რ. ერისთავიც გოდევილში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწი-
ლეს"⁴⁴.

„ცისკარში გამოქვეყნებული პიესების აღნაგობაზე დაკვირვება
საშუალებას გვაძლევს ასეთი დასკუნების გამოსატანად:

თეატრალური ლექსიკის ერთი ნაწილი პიესის უანრული სპეცი-
ფიკის განმსაზღვრელია. ასეთია: დრამა, ტრალედია, კომე-
დია-ვოდევილი, ვოდევილი, სცენა, სურათი. ამათგან სურათი პიესის
შემადგრენელ ნაწილთა შორის არ გვხვდება, სათაურშია გამოტანილი
(გ. ერისთავი, კონსტ. ბერძნიშვილი). მის შემცველად სათაურშივე
არის „კარტინა" (გრ. რჩეულიშვილი).

სცენა და სურათი სინონიმური მნიშვნელობითაც იხმარება („სო-
ფლის სცენა", კონსტ. ბერძნიშვილი), მაგრამ სცენა უფრო მეტად
არის დატვირთული სხვადასხვა მნიშვნელობით. იგი, ერთი მხრივ,
სურათია⁴⁵, „სახილველი" (გრ. რჩეულიშვილი), მეორე მხრივ — მსა-
ხიბთა სათამაშოდ გამოყოფილი ადგილი. სცენა ძირითადად ამ უკა-
ნასქნელი მნიშვნელობით გვხვდება „ცისკრის" დრამატურგებთან.

სცენის ამ მნიშვნელობის სინონიმია თეატრი (ბარბ. ჭორვაძე) //
ტეატრი (რ. ერისთავი). ეს ავტორები ტერმინ სცენას არ იყენებენ
„ცისკრის" უურცლებზე.

თეატრი // თაატრი მაყურებელთა დარბაზიც არის (ალ. ჭამბა-
კურ-ორბელიანი)⁴⁶ და დაწესებულებაც, შენობაც (გრ. რჩეულიშვი-
ლი)⁴⁷.

ჭერ კიდევ იხმარება „გამოცხადება" (გ. ერისთავი, რ. ერისთავი,
პ. კლდიაშვილი), მაგრამ ილარა გვაქვს „განცხადება". „გამოცხადე-
ბას" უკვე ჭაბნის „გამოსვლა" და სხვ. მოყვანილი მაგალითები იმაზე
მიუთითებენ, რომ ცნებათა გადაფასებასთან ერთად ხდება მათი შერ-
ჩევა და დამკაიღრება.

44 „ცისკარში" გამოქვეყნებულ სხვა იგტორთა პაესებში ღომინირებს „გამო-
სვლა". ასევე ზ. ანტონოვანაც (იხ. 1876 წ. გამოცემა).

45 აგტორის რეარეაში ვკითხულობთ: „ლიპარიდი ძიძი-შვილი ზურაბ, შე-
ხადი" (იხ. ბარბარა ჭორვაძე, ლექსიკი, პიესები, მოთხრობები, წერილები,
თბ., 1986, ვე. 187).

46 აგტორის რეარეაში ვკითხულობთ: „ლიპარიდის ძიძი-შვილი ზურაბ, შე-
მოვარდება ხმალ მოსმეული, ამ თორმეტს არას შუაზედ გაჰყოს, ექვს თვეისკენ
გაცალევებს თეატრის მშენის საზოგადოებისაკენ და ლიპარიდს შემოსახებს" („დავით აღმაშენებელი", გვ. 69).

47 აგტორის რეარეაში: „სახილველი ჭარბოლებენ შეიდანს თეატრის წინ",
„ცისკარი", 1859, № 9, ვე. 49).

ჩვენი დაკვირვებით, დრამატულ თხზულებათა ეპირული სპეციფიკა ერთგანიად განსაზღვრავს ტერმინთა სიუხვეს პიესის შედეგენილობაში. მაგ., სურათი ან სცენა, ზოგჯერ ვოდევილიც კი (მაგ., ი. ბარათაშვილისა) ძალზე მწირია ტერმინთა თვალსაზრისით, რადგან სურათისა და სცენაში სხვა უანრის პიესების დარად არ ვთთარდება მოქმედები. მათში ძალზე სუსტად არის გამოხატული დრამატურგიული ნაწარმოების (დრამა, ტრაგედია, კომედია...) განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები. ამის მიზეზი სხვაც არის, მათ შორის — პიესის მიზანდა-სახულობაცა და ევტორის შემოქმედებითი უნარიც⁴⁸.

პიესების არქიტექტონიკაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძირითადი ტექსტი (მოქმედ პირებზე მთითების გარეშე) ძირითადი სამი კომპონენტისაგან შედგება: მოქმედება, გამოსვლა, დახასრული. სცენის აღწერა, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს გამოსვლას და ცალკე, დამოკიდებულ ერთეულად არ არის გამოყოფილი. ცხადია, არის გამონაკლისიც. მაგ., ალ. ჭაბავაშვილ-ორბელიანის პიესაში მოქმედება არ არის დაყოფილი გამოსვლებად, რადგან ამის საჭიროებას არ ხედავს ევტორი. აქედაც წერეთელი ამ პერიოდის დრამატურგთაგან ერთადერთია, რომელიც ოთხწევრიან შედეგენილობას ამჯობინებს: მოქმედება, სცენა, გამოსვლა, დახასრული, რაც თვისებრივად განსხვავებული და წინ წალგმული ნაბიჯია. აკაკი წერეთლის სქემა ახლებური კლასიფიკაციაა, ნიჭიერი კაცის მიერ დროულად შენიშნული და შემოთვაზებული⁴⁹.

მოყვანილ მასალას, ცხადია, სისრულის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ იგი უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ XIX ს. შუა პერიოდისათვის შეინიშნება სასიკეთო ძერები ქართულ დრამატურგიასა და თეატრთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დახვეწის, ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში.

48 „ცისკარში“ გამოქვეყნებული გრ. ჩხეულიშვილის „ხუმრობა-ეოდევილოროს კარტინში“ იმავე პრინციპით. არის აგებული, როგორთაც კომედია. იგივე ითქმის რ. ერისთავის კომედიასა და ვოდევილზე, მაშინ როცა კონსტ. ბერძნიშვილის „სოფლის სცენა“ მოქმედ პირებზედაც კი არ მიუთითებს.

49 ამ კუთხით საყურადღებოა ივაი წერეთლის კომედია „ძეველი აქანგები“ (1861 წ.), რომელიც ტრადიციულ, სამწევრიან საფუძველზეა ავტბული და 1868 წ. გამოქვეყნებული პიესები „ძეველია და ახალს შუა“ და „არსენა“, რომლებსაც ოთხვერთა პრინციპი უდევს საფუძვლად.